1937

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6

პიონერი

1937 წ.

პიონერი

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲗᲣᲠᲒᲛᲔᲢᲘ

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქ. განსახკომის ერთთვიური ჟურნალი.

1937 წ. № 6

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომც.—„კომუნისტი". რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34. ტელ.—3—02—61

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

		გვ.
1.	**ტრ. რუხაძე**—შოთა რუსთაველი	1
2.	შოთას აფორიზმები	4
3.	**ელ. აგლაძე**—ჩრდილო პოლუსისაკენ	6
4.	**გ. კაჭახიძე**—შაქრის ქურდი	12
5.	**გ. ნატროშვილი**—მაქსიმ გორკი	13
6.	**ვლ. კახიანი**—ანჩხლი ჩიტუნიები	15
7.	გასართობი	

მთავლიტი 10508 შეკვ. 432 ტირაჟი 11500 ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრ. რუხაძე

შოთა რუსთაველი

ვის არ გაუგონია და არ წაუკითხავს „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფი მაინც! ყოველ მათგანში ხელიხელ საგოგმანები მხატვრული მშვენიერებაა ჩაქსოვილი.

ამ პოემამ ბრწყინვით გამოიარა რვა საუკუნე.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ჭეშმარიტად დაფასებულია ახლა, ჩვენ დროს, ლენინისა და სტალინის ეპოქაში. რევოლუციამდის იმის ერთი მეათედიც არ გაკეთებულა, რაც ჩვენ დროს კეთდება შოთა რუსთაველის ლიტერატურული მემკვიდროების შესწავლისა და დაფასების საქმეში. ახლა ცალკე სამეცნიერო ორგანიზაციაც—კი არსებობს, ე. წ. „რუსთაველის ინსტიტუტი“, რომელიც ძირითადად „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლას ისახავს მიზნად. მიმდინარე წლის შემოდგომაზე ქართველი და საბჭოთა კავშირის ხალხები, მთელი მოწინავე კაცობრიობა ზეიმობს შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლის თავს. ეს იქნება ნამდვილი სახალხო ზეიმი. აქ ერთხელ კიდევ დამტკიცდება, ლენინ-სტალინის იდეებზე აღზრდილ ჩვენ თაობას როგორ უყვარს წარსული ლიტერატურული მემკვიდრეობის დაფასება. წინათ ასე არ აფასებდნენ შოთა რუსთაველს.

„ვეფხისტყაოსნის“ დევნის ისტორიიდან

ბერ-ხუცებმა შოთა რუსთაველის თხზულება თავიდანვე აითვალწუნეს: ეს პოემა ქრისტიანობას ეწინააღმდეგება და მწვალებლურ აზრებს თესავსო,—გაჰკიოდნენ ისინი. მე-17 საუკუნის ქართველი პოეტის არჩილის თქმით, „ვეფხისტყაოსანს“ „ჩხრეკდენ, მაგრამ შიგ ისეთს ვერარას პოებდნენ“. „ვეფხისტყაოსანს“ წინ წაუმძღვარეს ერთი სასიგნალო სტროფი, სადაც მკითხველებს აფრთხილებდნენ: ეს პოემა ირანული, ე. ი. მაჰმადიანური თხზულებაა, სულის საზიანოა და საიქიო ცხოვრებას დაგვაკარგვინებსო. მოვიყვანოთ ეს ანტირუსთაველური სტროფი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ყველა 20 უძველეს ხელნაწერში გვხვდება.(პოემა ჩვენამდის მოღწეულია ოცი უძველესი, მე-17—18 საუკ., და 30-ის ახალი დროის ხელნაწერით):

„პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად, უხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არას შეიქს ხორცსა სულად, საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთ არსულად და არ გვარგებს საუკუნოს, რა დღე იქნას აღსასრულად“.

მაგრამ იყვნენ ძველად ადამიანები, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ რუსთაველის პოემისადმი ასეთ დამოკიდებულებას. ასეთი იყო, მაგალითად მე-18 საუკუნის პოეტი და მეცნიერი ვახტანგ VI. მან პირველად დაბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“ და თან განმარტებანი დაურთო. ამ განმარტებებში ვახტანგ VI ამტკიცებს, სამღვდელოების აზრი არ არის მართალი შოთა რუსთაველის მიმართ, „ვეფხისტყაოსანში“ ქრისტიანული აზრებია მოცემულიო.

საეკლესიო წრეებმა არ მიიღეს ვახტანგ VI-ს შეხედულება და მის მიერ დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“ დაწვეს. ერთერთი ძველი ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის და მიტროპო-

ნახეს უცხო მოყმე ვინმე,
ჯდა მტირალი წყლისა პირსა.



ნესტ ან-დარეჯანი წერილს წერს ტარიელს.
მხატვარი ირ. თოიძე
ფოტო-რეპროდუქცია რ. აკოფოვისა

ლიტი ევგენის სიტყვით, ეს ჩაუდეთია მე-18 საუკუნის კათალიკოზს ანტონ 1-ს. პირას წერს პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი: „ანტონ პირველი, რომელმაც მრავალნი დაბეჭდილნი მეფის ვახტანგის დროსა 1710 (1712) წელსა „ვეფხისტყაოსანი“ დაჰსწუნა და შთააყრევინა მტკვარში და აღუკრძალა კითხვა წიგნისა ამისა ქართველთა“. ანტონი თავის ერთერთ თხზულებაში წერს, რომ შოთა რუსთაველი „ამაოდ დაჰშურა, საწუხარ არს ესეო“ ე. ი. „ვეფხისტყაოსნის“ დაწერით ამაო შრომა გასწიაო.

ასევე ებრძოდა შოთა რუსთაველს მეორე საეკლესიო პირი, ტ ი მ ო თ ე გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. ამან 1756 წელს იმოგზაურა ქრისტიანულ აღმოსავლეთში, სადაც ერთერთ მონასტერში კედელზე ნახა სურათი ზედწარწერით „შოთა“. ეს შოთა მან „ვეფხისტყაოსნის“ ავტორად იგულა და სხვათა შორის ასეთი სიტყვები მიუძღვნა:

„ესე იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავლა ქართველთა სიწმინდისა წილ ბოროტი ბილწება და განჰყრუნა ქრისტიანობა“.

ამგვარად, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსი წოდებულია „ბოროტ ლექსად“! საეკლესიო წრეებთან ერთად არც სხვები ეპყოობოდნენ დადებითად შოთა რუსთაველს. ზოგი ამბობდა „ვეფხისტყაოსანში“ „მოგონილ-მოჭორილი ამბები წერიაო“, ზოგი კიდევ რას...

მიუხედავად ამისა, იყვნენ პროგრესული ძალები, რომლებიც შოთა რუსთაველს ღირსეულად აფასებდნენ: იყენებდნენ ადგილებს მისი პოემიდან, იმოწმებდნენ მას, მიაჩნდათ იგი პოეზიის მეფედ... ყველაზე უფრო უკეთ ხალხმა შეინახა გენიოსი პოეტი. აი როგორ ალაპარაკებს შოთას პოეტი არჩილი:

„საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს,
ვის ლხინი აქვს, მას უბნობენ, ანუ გული ვისაც უწუხს,
მხიარულად წაიკითხვენ, მასზედ თვალნი არვის უწუხს“.

ზოგიერთი რამ რუსთაველის ბიოგრაფიიდან

ძნელია შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის აღდგენა. მე-12 საუკუნემ, როდესაც მოღვაწეობდა გენიოსი პოეტი, არავითარი ცნობა არ დაგვიტოვა რუსთაველის ბიოგრაფიისათვის. არც მე-13-14 საუკუნის ისტორიულ მასალებში შენახულა რაიმე ცნობა შოთას გარშემო. მართალია, 12-13 საუკუნის ისტორიაში მოიხსე-

ნიება „შოთა“, მაგრამ შეიძლება ეს შოთა სრულიად სხვა პირი იყოს, და არა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი.

ძველი დროის ქართველ პოეტებს ერთი კარგი თვისება ჰქონდათ: თავისი სახელი თუ გვარი უნდა მოეხსენებინათ თავისი თხზულების რომელიმე ნაწილში, უფრო ხშირად შესავალში ან ბოლოში. ასე მოქცეულა ჩვენი შოთა რუსთაველიც. „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში და ბოლოსიტყვაობაში მოხსენებულია რუსთაველი:

„დავჯე, რუსთველმან გავლექსე მისთვის გულლახვარსობილი“

„მე, რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამადარი“

„ვსწერ ვინმე მესხი მელექსე“ და სხვ.

სახელი შოთა პოემაში არ გვხვდება. ყველაზე ვრცელი ცნობა შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისათვის გვხვდება მე-16-18 საუკუნის პოეტთა და მწერალთა შემოქმედებაში, მაგრამ ეს ცნობები ზოგჯერ ლეგენდარულია. შოთას უმოღვაწია თამარ მეფის კარზე, თამარი კი მე-12 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-13 საუკუნის დამდეგს მეფობდა. შოთას განათლება მიუღია საქართველოში და საზღვარგარეთ, ყოფილა თამარის მდივანი, მეჭურჭლეთუხუცესი და, ერთთა გადმოცემით, თვით თამარ დედოფალი შეჰყვარებია, რომელთანაც უბედო სიყვარულის შედეგად დაუწერია „ვეფხისტყაოსანი“, რის შემდეგ ბერად შემდგარა ჯვარის მონასტერში, სადაც კიდეც გარდაცვლილა მოხუცებული. დღესდღეობით ჩვენი მეცნიერები კიდევ ეძებენ საბუთებს, რომ აღადგინონ რუსთაველის ბიოგრაფია, რომ ამით უფრო ნათელი წარმოდგენა იქონიონ დიდი პოეტის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე.

ყველაზე ბრწყინვალედ რუსთაველის უდიდეს პიროვნებას მისი „ვეფხისტყაოსანი“ ახასიათებს.

რას შეიცავს „ვეფხისტყაოსანი“?

კარგად უთქვამს ძველი დროის ერთერთ ქართველ პოეტს რუსთაველის ენით:

„ვთქვი ჩემგან უწინ არ თქმული, არც შემდგომთ მოსაპოვარი“. მართლაც, თუმც ქართველებს შოთამდისაც მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა ჰქონდათ, „ვეფხისტყაოსანისებური“ არც ერთი თხზულება არ დაწერილა. მე-5 საუკუნიდან მე-12 საუკუნემდის მწერლობა უფრო მეტად საეკლესიო ხასიათისა იყო და ორიოდე მხატვრული ნაწარმოებით ამოიწურებოდა. „ვეფხისტყაოსანი“, რომ-

ხმალი გავტყორცე, გარდვიხერ.
ვეფხი შევიპყარ ხელითა.



ნესტან-დარეჯანის მოტაცება არაბების მიერ.
მხატვარი ი. თ ო ლ ი ძ ე
ფოტო-რეპროდუქცია რ. ა კ ო ფ ო ვ ი ს ა

მლის ყველა სტროფი კარგი და მიმზიდველია, მხატვრული და მუსიკალურია, მართლაც რომ განუმეორებელი დარჩა დღემდის, რვა საუკუნის შემდეგაც. ისეთ პიროვნებებს, როგორიც შოთა იყო, არამც თუ საუკუნეები, არამედ მთელი ეპოქებიც თითოოროლას შექმნიან.

„ვეფხისტყაოსანი“ აგებულია მე-12 საუკუნის საქართველოს ცხოვრების ფონზე და იძლევა იმის სურათს, თუ როგორ ცხოვრობდა და როგორ აზროვნებდა ქართველი საზოგადოების ყველაზე მოწინავე ნაწილი იმ დროს.

პოემის თითოეული სტროფი ამტკიცებს შოთა რუსთაველის ღრმა მომზადებას; ის იცნობს არაბულს, სპარსულს, ბერძნულ ლიტერატურსა და ფილოსოფიას. მას საუკეთესოდ აქვს შესწავლილი კარის ცხოვრების ყოველი წვრილმანი, ის იცნობს სამეფო წყობილებას, სამხედრო ხელოვნებას და ნათლად ასახავს მას.

პოემის გმირები ტარიელი და ავთანდილი რაინდობის, სიმამაცისა და გმირობის ნიმუშებს წარმოადგენენ. მათთვის დამახასიათებელია ვაჟკაცობა, ნებისყოფის დიდი ძალა, მეგობრისადმი სიყვარული და მისთვის თავის დადება, უფროსისა და ქალის პატივცემა, გაჭირვებულის სიბრალული და გამოსარჩლება, დაწყებული საქმის ბოლომდის მიყვანა და სხვ.

რუსთველის პოემის მთელ სიგრძეზე გაბნეულია მოწინავე პროგრესული აზრები, რომელთაგან ბევრს დღესაც, 800 წლის შემდეგაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და რომლებიც დღესაც მოსაწონი და მომხიბვლელია. ამიტომ არის, რომ საუკუნეების მანძილზე ქართველმა ხალხმა ზეპირადაც კი შეინახა ეს უზარმაზარი ლამაზი პოემა. მუდამ შეხვდებოდით და შეხვდებით ისეთ გლეხებს, რომლებსაც არასოდეს ანბანი არ უსწავლიათ, მაგრამ მაინც იციან პოემის მთელი რიგი ადგილები და ზოგჯერ მთელი პოემაც. ისინი საუბრის დროს ხშირად იმოწმებენ პოეტის ბრძნულ, სხარტულად თქმულ აზრებს.

მაშ ჩვენც ვიკითხოთ და უფრო ღრმად შევისწავლოთ დიდი პოეტის დიდი მხატვრული ძეგლი

შოთას ათორიზმები

ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია.

*

სხვისა სხვამან ჭკით იცის სასარგებლო საუბარი.

*

ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.

*

ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.

*

მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს.

*

სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა.

*

სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი.

*

ცხვა სხვისა ომსა ბრძენია.

*

ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა.

*

არ იცი, ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებიან?

*

გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.

*

გონიერსა მწვრთელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს.

*

კოკახა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. აბდაძე



რუდოლფის კუნძულთან

ყინულის სამყაროში, რუდოლფის კუნძულამდის სამი კილომეტრის დაშორებით, უჩვეულო სტუმრებს-ადამიანებს კარავი გაუმართავთ.

მკაცრი ქარიშხალი შემაძრწუნებლად ღმუის და შეუბრალებლად არყევს მას. კარავში კი მხოლოდ სამი არსება სუნთქავს... ეს ჩრდილო პოლუსისაკენ მიმავალი ექსპედიციაა: რუსი პოლარული მკვლევარი გ ი ო რ გ ი ს ე დ ო ვ ი და მისი ორი თანამგზავრი. ცინგით დაავადებულმა გიორგი სედოვმა ველარ შეძლო განეგრძო მძიმე გზა ჩრდილოეთ პოლუსისაკენ... ის აქ, ამ ცივ კარავში დაბინავდა, რომ შებრძოლებოდა სიკვდილს, და აქვე, თავის თანამგზავრთა მუხლებზე, გამოეთხოვა საყვარელ სიცოცხლეს. ეს იყო 1914 წლის 5 მარტს.

ექსპედიცია გიორგი სედოვის ხელმძღვანელობით 1912 წელს გავიდა. არხანგელსკიდან და მხოლოდ 13 თვის შემდეგ მიაღწია მისმა გემმა „სვიატოი ფოკამ“ ფრანც იოსების მიწის სამხრეთ სანაპიროს. აქ ყურე ტიხოეში დაიზამთრა ექსპედიციამ. მოზამთრეთა უმრავლესობა, მათ შორის გიორგი სედოვიც, ცინგით დაავადდა. მიუხედავად ავადმყოფობისა, მან ორი თანამგზავრის თანხლებით 1914 წლის 15 თებერვალს მარხილებით გასწია ჩრდილოეთ პოლუსის მიმართულებით.

ასე დასრულდა რუსეთის პირველი სამეცნიერო-საკვლევო ექსპედიციის მუშაობა.

მოკლე გზა აღმოჩენილია

ჩრდილოეთ პოლუსი, ეს საიდუმლოებით მოცული ნაწილი დედამიწისა, სხვადასხვა ქვეყნის ბევრ მკვლევარს იზიდავდა. განსაკუთრებით ინგლისისა და ჰოლანდიისათვის იყო დიდმნიშვნელოვანი არქტიკისა და ჩრდილოეთ პოლუსის დაპყრობის საქმე: მათ მეტად შორი მანძილის შემოვლა უხდებოდათ ამერიკასა და ინდოეთამდის მისასვლელად და ამიტომ ისინი მოკლე გზას ეძებდნენ, რომელსაც უნდა გადაევლო ცივი ქვეყნები. ეს იდეა ჯერ კიდევ მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში გაღვივდა... ყინულოვანმა ზღვებმა ბევრი მოგზაური იმსხვერპლა, მიზანი კი განუხორციელებელი დარჩა.

და აი მხოლოდ 1827 წელს მოეწყო პირველი სერიოზული ექსპედიცია ინგლისელი მეზღვაურის ე დ უ ა რ პ ა რ ი ს ხელმძღვანელობით. ედუარდ პარიმ ექსპედიციის 29 მონაწილით ხომალდი „ჰეკლა“ შპიცბერგენის ჩრდილოეთ ნაწილამდის მიიყვანა. აქედან თხილამურებზე დადგმული ორი ნავით ექსპედიცია ფეხით გაემართა ჩრდილოეთ პოლუსის მისაღწევად, მაგრამ პარი ვერ გასცდა ჩრდილოეთ განედის 82 გრ. და 45 მინ.

საყურადღებო მოგზაურობა ჩაატარა შვედმა მეცნიერმა ნ ო რ დ ე ნ შ ე ლ დ მ ა. მან აღმოაჩინა ჩრდილო-აღმოსავლეთის გზა: 1878 წელს გემით — „ვეგა“ გაემართა ნორდენშელდი სამოგზაუროდ. დაიზამთრა ყინულებში, შემდეგ გაიარა ბერინგის სრუტე და 1879 წელს დაეშვა იაპონიისაკენ. მან შემოუარა მთელ აზიასა და ევროპას და 1880 წელს დაბრუნდა სამშობლოში.

ნორდენშელდმა პირველმა შეძლო გაევლო საუკუნეების მანძილზე მოგზაურთათვის საოცნებო მიუღწეველი გზა.

მოძრავი ყინულები

ამერიკული საექსპედიციო გემი, სახელად „ჟანეტა“, ნორდენშელდის საძებნელად გაემგზავრა. ნორდენშელდს დაღუპულად თვლიდნენ. გემი „ჟანეტა“ ახალი ციმბირის კუნძულებთან ყინულში ჩაიჭედა. გემი დაიმსხვრა...

გაიარა რამდენიმე წელმა, და „ჟანეტას“ ნამსხვრევები გრენლანდიის ნაპირებთან აღმოაჩინეს. ეს ფაქტი ნორვეგიელი პოლარული



არქტიკისა და ჩრდილოეთ პოლუსის მკვლევარნი ფ. ნ ა ნ ს ე ნ ი და რ. პ ი რ ი

მკვლევარის ნ ა ნ ს ე ნ ი ს ა თ ვ ი ს ბევრის მთქმელი იყო, და აი სახელდობრ რისა:

იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ჩრდილოეთ პოლუსი, მეცნიერები სხვადასხვა აზრისა იყვნენ. ზოგიერთი ამტკიცებდა, პოლუსზე ყინულისაგან თავისუფალი ზღვააო, ზოგნი კი ფიქრობდნენ იქ მიწააო. ამ შეხედულებებს არ იზიარებდა ფ რ ი ტ ი ო ფ ნ ა ნ ს ე ნ ი. მისი აზრით, ჩრდილოეთ პოლუსი წარმოადგენდა ღრმა ოკეანეს, დაფარულს უზარმაზარი, მთლიანი და, რაც მთავარია, მოდრეიფე (მოძრავი) ყინულებით. სწორედ ეს შეხედულება განამტკიცა „ჟანეტას“ ნამსხვრევების პოვნამ. ამას გარდა ამ ფაქტმა ნანსენი იმ დასკვნამდისაც მიიყვანა, რომ გზა, რომელიც გაიარა ამ ნამსხვრევებმა ახალი ციმბირის კუნძულებიდან გრენლანდიის ნაპირებამდის, ყველაზე იოლი გზა იყო ჩრდილოეთ პოლუსის მისაღწევად. და მართლაც, ნ ა ნ ს ე ნ მ ა გადაწყვიტა მოძრავი ყინულებისათვის მიენდო გემის მიყვანა ჩრდილოეთ პოლუსზე. ნანსენმა ამ მიზნით ააგო გემი „ფრამი“, რომელსაც მეტად მომრგვალებული გვერდები ჰქონდა — იმისათვის, რომ ყინულებში ჩაჭედვისას ზევით ამოწეული გემი დამსხვრევას გადარჩენილიყო. 1893 წლის 25 იანვარს გემი „ფრამი“ ნორვეგიიდან გამოვიდა და ახალი ციმბირის კუნძულებისაკენ გასწია. „ფრამი“ მდინარე ლენას შესართავთან უზარმაზარ, თვალუწვდენელ ყინულებში ჩაიყინა და ამ მოძრავ ყინულებთან ერთად დაიწყო ნელი სვლა ჩრდილოეთით. მაგრამ ნანსენს იმედები არ გაუმართლდა: „ფრამმა“ ჩრდილოეთ პოლუსს დაახლოვებით 400 კილომეტრის დაშორებით აუარა გვერდი და გრენლანდიის ზღვაში შევიდა. ნანსენმა, როგორც კი შენიშნა, რომ მისი გემი ჩრდილოეთ პოლუსს ასცდა, დატოვა იგი და ერთი თანამგზავრის თანხლებით მარხილებით განაგრძო გზა. ეს მოხდა 1895 წლის 14 მარტს. 7 აპრილს ნანსენმა უკვე 86° 14' მიაღწია. მან 3°-ით გადააჭარბა ადრინდელ მოგზაურებს. აქ ნანსენის ექსპედიციამ შეაჩერა წინსვლა, რადგან სანოვაგე შემოაკლდათ; ამის გარდა ექსპედიციის მონაწილენი მეტად დაიქანცნენ მკაცრ პოლარულ ბუნებასთან ბრძოლით და პოლუსიდან პირი იბრუნეს. გეზი ფრანც იოსების მიწისაკენ იყო აღებული.

ფრანც იოსების მიწაზე დაზამთრების შემდეგ, 1896 წლის ივნისში ისინი ინგლისელთა ექსპედიციამ დააბრუნა სამშობლოში. ამავე წლის აგვისტოში მოძრავმა ყინულებმა ნანსენის გემი „ფრამი“ ნორვეგიამდის მიიტანეს.

საბედისწერო გაფრენა

შპიცბერგენის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროდან 1897 წლის ივლისში აეროსტატი „არწივი“ მაღლა ასრიალდა და მალე მიიმალა ლეგა ღრუბლებში... აეროსტატი სამ მამაც ადამიანს მიაქროლებდა ჩრდილოეთისაკენ. ესენი იყვნენ: შ ვ ე დ ი ინჟინერი ს ო ლ ო მ ო ნ ა ნ დ რ ე და მისი ორი თანამგზავრი — ს ტ რ ა ნ ბ ე რ გ ი და ფ რ ე ნ კ ე ლ ი. სოლომონ ანდრე პირველი ადამიანი იყო, რომელმაც სცადა საჰაერო გზით მიეღწია პოლუსისათვის. მამაცმა ანდრემ, მიუხედავად იმისა, რომ საჰაერო ტრანსპორტი განვითარების მეტად დაბალ დონეზე იდგა, გადაწყვიტა მოეწყო პოლარული და, თუ მოსახერხებელი იქნებოდა, ტრანსპოლარული გაფრენა არქტიკაში. ე. ი. მას სურდა არა თუ მიეღწია პოლუსამდის, არამედ გადაეფრინა კიდევაც პოლუსის იქით. მაგრამ ანდრეს გაფრენა საბედისწერო გამოდგა: თავგანწირული მფრინავები უგზოუკვლოდ დაიკარგნენ...



გემი „ჟანეტა“ — ახალი ციმბირის კუნძულებთან ყინულში ჩაჭედილი.

მათი დაღუპვის შემდეგ 33 წელმა განვლო... ნორვეგიელთა სამეცნიერო-სარეწაო ექსპედიცია შპიცბერგენსა და ფრანც იოსების მიწას შორის მდებარე თეთრ კუნძულზე შემთხვევით წააწყდა სამი ადამიანის გვამს... ეს იყო სოლომონ ანდრესა და მისი ორი თანამგზავრის გვამები. სოლომონ ანდრეს დაფლეთილ ტანისამოსში მათ აღმოაჩინეს კარგად შენახული დღიურები. მალე მრავალ ენაზე ამეტყველდნენ დღიურები და აცნობეს მსოფლიოს, თუ როგორ დაიღუპა სოლომონ ანდრე თავისი ორი თანამგზავრით. ეს დღიურები მოგვითხრობს, თუ როგორ გადაეკრა აეროსტატს ყინული და როგორ დაკარგა ფრენის უნარი დამძიმებულმა აეროსტატმა. „არწივმა“ შპიცბერგენის ნაპირებიდან 300 კილომეტრის მანძილზე შეწყვიტა ფრენა და დაეშვა ყინულებზე. ექსპედიციის მონაწილენი შეეცადნენ ფრანც იოსების მიწაზე ან შპიცბერგენზე მისვლით გადაერჩინათ თავი დაღუპვისაგან, მაგრამ ქარიშხალი და ყინულების არეული მოძრაობა არ აძლევდა მათ ამის საშუალებას. მათ შეძლეს მხოლოდ თეთრ კუნძულზე მიღწევა და აქვე, ამ უდაბურ კუნძულზე დაიღუპნენ. 1930 წელს, მათი დაღუპვიდან 33 წლის შემდეგ, სამი მამაცი მფრინავის გვამი სამშობლოს დაუბრუნდა...

საჰაერო გზით

28 წლის წინათ ჩრდილოეთ პოლუსზე თვალუწვდენელ ყინულებს შორის აიმართა ამერიკული დროშა. მთელ მსოფლიოს მოედო საინტერესო ცნობა: ამერიკელმა პოლარულმა მკვლევარმა რობერტ პირიმ ჩრდილოეთ პოლუსს მიაღწია, მან იქ დაჰყო 30 საათს, აწარმოვა ზოგიერთი დაკვირვება და უკან დაბრუნდაო, მაგრამ პირის დაკვირვებათა გვიანდელმა შემოწმებამ ნათელყო, რომ ჩრდილოეთ-პოლუსზე, იმ წერტილში, სადაც თავს იყრიან მერიდიანები, რობერტ პირი არ ყოფილა.

ჩრდილოეთ პოლუსი ისევ მიუღწეველი, ისევ საიდუმლოებით მოცული დარჩა. ყინულის სამყარო კვლავ ძლიერი ძალით იზიდავდა მოგზაურებსა და მკვლევარებს. ეს უკვე ის დრო იყო, როდესაც ავიაციამ სწრაფი ტემპით იწყო განვითარება, რაც შეუმჩნეველი არ დარჩა შესანიშნავ ნორვეგიელ მკვლევარს, როალდ ამუნდსენს.

1909 წლიდანვე შეუდგა ამუნდსენი ავიატორებთან მოლაპარაკებას. დაიწყო სამზადისი ექსპედიციის მოსაწყობად, მაგრამ სრულიად მოულოდნელად ამუნდსენმა გეზი იცვალა და ჩრდილოეთ პოლუსის ნაცვლად 1911 წლის 14 დეკემბერს სამხრეთ პოლუსს მიაღწია.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე შეისწავლა მან საფრენოსნო საქმე, შეიძინა თვითმფრინავიც, მაგრამ ამუნდსენის საექსპედიციო მუშაობა მსოფლიო ომმა რამდენიმე წლით შეაჩერა. 1922 წლიდან კი იგი კვლავ შეუდგა სამზადისს საჰაერო ექსპედიციის მოსაწყობად. მან ალიასკის სანაპიროზე კონცხ ბაროუსთან მოაწყო საფრენოსნო ბაზა. სამი წლის შემდეგ ამუნდსენი უკვე აწყობს დიდ საჰაერო ექსპედიციას. ჰიდროპლანებმა № 24 და № 25 სტარტი აიღეს შპიცბერგენზე, იმ ადგილის მახლობლად, საიდანაც ერთ დროს აფრინდა სოლომონ ანდრეს აეროსტატი.

ექსპედიციის მიზანი იყო ჩრდილოეთ პოლუსის მიღწევა. 8 საათის ფრენის შემდეგ, მოტორის დაზიანებისა და საწვავი მასალის დიდი რაოდენობით დახარჯვის გამო, თვითმფრინავები ყინულზე დაეშვნენ. დაშვებამ უხიფათოდ ჩაიარა. მაგრამ თვითმფრინავების კვლავ აფრენისათვის საჭირო გახდა აეროდრომის მოწყობა, რასაც 24 დღის მუშაობა დასჭირდა. ჰიდროპლანი № 24 ფრენისათვის უვარგისი გამოდგა და ის ყინულზე მიატოვეს. ექსპედიციამ მეორე ჰიდროპლანით განაგრძო გზა და მიაღწია ჩრდილოეთ განედის 87° 43′. ექსპედიცია, თუმცა მან პოლუსს ვერ მიაღწია, ბრწყინვალედ დასრულდა.

სამი დროშა

1926 წლის 19 მაისს შპიცბერგენის საფრენოსნო ბაზიდან ამერიკელი მფრინავი რიჩარდ ბერდი ერთი თანამგზავრის თანხლებით გაფრინდა ჩრდილოეთ პოლუსისაკენ. მიაღწია პოლუსს და ყინულზე დაუშვებლად გამოფრინდა უკან. გაფრენა 15 საათს გაგრძელდა, თვითმფრინავმა დაფარა 2000 კილომეტრი.

11 მაისს კი ჩრდილოეთისაკენ გაემართა ამუნდსენის საჰაერო ხომალდი „ნორგე“ (ნორვეგია). დირიჟაბლს მართავდა იტალიელი უმბერტო ნობილე. ექსპედეციის მიზანი იყო ტრანსპოლარული გადაფრენა. (შპიცბერგენი—ჩრდილოეთ პოლუსი—ალიასკა) „ნორგემ“ ღამით გადაუქროლა ჩრდილოეთ პოლუსს. დირიჟაბლიდან სამი დროშა დაეშვა პოლუსის თეთრ სივრცეზე. ეს დროშები იყო ნორვეგიისა, ანერიკის შეერთებული შტატებისა და იტალიისა,—ეს იმის აღსანიშნავად, რომ ექსპედიცია მოწყობილი იყო ნორვეგიელთა მიერ, ექსპედიციის მოსაწყობად ფული გაიღო ამერიკელმა ელსვორტმა, ხოლო დირიჟაბლი ეკუთვნოდა იტალიას. „ნორგე“ ორი დღის განმავლობაში ბურუსში მიფრინავდა და ქარიშხალს ებრძოდა, მაგრამ ექსპედიციამ ალიასკას მაინც უვნებლად მიაღწია. ფრენა 72 საათს გაგრძელდა. ეს ექსპედიცია მნიშვნელოვანია მით,

რომ ამ გადაფრენამ დაამტკიცა არქტიკაში ხანგრძლივი ფრენის შესაძლებლობა.

რ. ამუნდსენი

ნობილეს საძებნელად

1928 წელს უმბერტო ნობილემ დირიჟაბლით „იტალია“ შემდეგი მარშრუტი აიღო: შპიცბერგენი — ახალი მიწა — ფრანც იოსების მიწა — შპიცბერგენი — ჩრდილოეთ გრენლანდია — ჩრდილოეთ პოლუსი — შპიცბერგენი.

ჩრდილოეთ პოლუსიდან უკან გამობრუნებისას დირიჟაბლი „იტალია“ ყინულმა დაფარა. დირიჟაბლი დამძიმდა და ძირს დაეშვა. ამ დროს დირიჟაბლს მოსწყდა წინა გონდოლა, რომელშიაც იყვნენ ნობილე და მისი ცხრა თანამგზავრი. მეორე გონდოლა შემსუბუქებულმა დირიჟაბლმა ისევ ზევით გაიტაცა...

ამინდი არახელსაყრელი იყო, მაგრამ ამუნდსენმა, როგორც კი მიიღო ცნობა ნობილეს დაღუპვის შესახებ, იმ დღესვე გაემართა მის დასახსნელად ჰიდროპლანით „ლატამ“.

რადიოკავშირი „ლატამთან“ მეორე დღესვე შეწყდა... ნობილეს საძებნელად საბჭოთა კავშირის წითელდროშოვანი გემი „კრასინიც“ გაემართა. „კრასინმა“ მალე იპოვა და გადაარჩინა ნობილეს ჯგუფი.

ამუნდსენი კი კვლავ არსად ჩანდა. მრავალი ნორვეგიელი დაეძებდა თავის საყვარელ გმირს. ჩვენი მფრინავი ბაბუშკინიც გაემართა მის საძებნელად, მაგრამ ძებნა ამაო აღმოჩნდა.

გავიდა რამდენიმე თვე, და სწორედ იმ ქალაქთან, საიდანაც გაფრინდა ამუნდსენი, “ლატამის“ ფრთის ნატეხები იპოვეს. ცხადი იყო, რომ პოლარული ქვეყნების უდიდესი მკვლევარი, სახელოვანი როალდ ამუნდსენი ნამდვილად დაიღუპა...

„მფრინავის ოცნება“

მამაცი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი ვოდოპიანოვი ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ გაიტაცა ოცნებამ ჩრდილოეთ პოლუსის დაპყრობის შესახებ. მისი ფიქრები მუდამ ჩრდილოეთ პოლუსს დასტრიალებდა, მას სურდა, მთელი სულითა და გულით სურდა დაეძლია ჩრდილოეთის მკაცრი ბუნება, საბოლოოდ დაემარცხებინა იგი. ერთხელ თავისი ოცნება მან ოტო შმიდტს გაუზიარა. შმიდტი მეტად დააინტერესა ვოდოპიანოვის წინადადებამ და ურჩია მას გასცნობოდა სხვადასხვა მასალას არქტიკის დაპყრობის შესახებ, კარგად ეფიქრა მომავალ გაფრენაზე, შეედგინა პროექტი და მისთვის წარედგინა.

მიხეილ ვოდოპიანოვი შეუდგა საქმეს. ის 1935 წლის მთელი ზაფხულის განმავლობაში ეცნობოდა პოლარულ მკვლევართა წიგნებს, ჩანაწერებს, დღიურებს. განსაკუთრებით გაიტაცა იგი ამერიკელი მფრინავის ბერდის მასალებმა. ბერდი ხომ მფრინავი იყო, ისევე, როგორც ვოდოპიანოვი, ის ხომ პირველი ადამიანი იყო, რომელმაც შეძლო თვითმფრინავით უდაბურ პოლუსზე მიფრენილიყო, და ამაზე მეტად ვინ დააინტერესებდა ვოდოპიანოვს! მაგრამ ჩრდილოეთ პოლუსზე ფიქრით შეპყრობილი ვოდოპიანოვი არ კმაყოფილდებოდა წიგნებით. საბჭოთა კავშირს ჰყავს გამოცდილი პოლარული მოღვაწენი, მას ცოცხალი ადამიანებისაგან შეეძლო გაეგო ის, რასაც ქაღალდის ფურცლებზე ვერასოდეს იპოვიდა.

და ვინ იცის, რამდენი საათი გაუტარებია მიხეილს პოლარულ მფრინავებ ბაბუშკინსა და ჩუხნოვსკისთან საუბარში. მან მრავალი საინტერესო ცნობა შეკრიბა აგრეთვე ძველი პოლარული მოღვაწის პაპანინისაგან.

„ჩვენ ბევრი საღამო გაგვიტარებია ფრანც იოსების მიწის დიდ რუკასთან არქიპელაგის მრავალრიცხოვანი კუნძულების თვალიერებაში. მე ვსთხოვდი პაპანინს მოეგონებინა ყოველი წვრილმანი თითოეული კუნძულის შესახებ. იმ მიზნით, რომ გამოგვერკვია, რამდენად გამოსადეგი იქნებოდა ესათუის კუნძული საავიაციო ბაზის მოსაწყობად. და ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ იმ მიზნისათვის ყველაზე ხელსაყრელია რუდოლფის კუნძული, რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთ განედის 82 გრადუსზე“, — მოგვითხრობს ვოდოპიანოვი.

ამის შემდეგ ვოდოპიანოვი შეუდგა თავისი პროექტის ქაღალდზე გადატანას, მაგრამ პროექტი მას მშრალად არ დაუწერია. მთელი თავისი მისწრაფებანი, ფიქრები, განცდები მომავალი გაფრენის ირგვლივ მან აწერა ვრცლად, ცოცხლად და მხატვრულად. წიგნს უწოდა „მფრინავის ოცნება“ და განსახილვე-

ჩრდილოეთ პოლუსის დამპყრობი ექსპედიციის ხელმძღვანელი — ო. შმიდტი, რაზმის კომანდორი საბჭოთა კავშირის გმირი — ვოდოპიანოვი

ლად წარუდგინა ოტო შმიდტს. წიგნის წაკითხვის შემდეგ დიდხანს საუბრობდნენ ისინი.

„—მე ხშირად მიფრენია ჩრდილოეთით,— ეუბნებოდა შმიდტს ვოდოპიანოვი.—ჩემს თვითმფრინავს გადაუქროლია ციმბირის ტაიგაზე, შორეულ აღმოსავლეთის გორაკებზე, ჩუკოტკის დახეთქილი ყინულებით დაფარულ ზღვაზეც. პოლარული გადაფრენის გამოცდილება მაქვს. მაგრამ ერთი მაფიქრებს: დასავლეთისაკენ მე არ მიფრენია, აღმოსავლეთისა და დასავლეთის პირობები კი ერთმანეთისაგან მეტად განსხვავდება“. ვოდოპიანოვს არ სურდა გადაფრენის ტექნიკური პროექტი შეედგინა მანამ, სანამ არ გადაფრინდებოდა ფრანც იოსების მიწაზე ან შპიცბერგენზე. ოტო იულევიჩი დახმარებას დაჰპირდა.

ვოდოპიანოვმა უკვე მიიღო ბრძანება — მომზადებულიყო მოსკოვიდან ფრანც იოსების მიწაზე გადასაფრენად.

ეს გადაფრენა გასული წლის დამდეგს ჩატარდა. ამის შემდეგ ვოდოპიანოვი აღარ დაეჭვებულა თავისი მიზნების განხორციელების შესაძლებლობაში.

მალე ვოდოპიანოვმა გაიგო, რომ მისი გეგმა მთავრობის მიერ დამტკიცებულია.

სამზადისიც დაიწყო.

მზადება გადაფრენისათვის

მომავალ ექსპედიციას ხელისუფლებამ ასეთი ამოცანა დაუსახა: მათ ჩრდილოეთ პოლუსზე უნდა გადმოესხათ მეცნიერული მუშაობის საწარმოებლად მოზამთრეთა ბაზა. მოზამთრეთა ხელმძღვანელად ძველი პოლარელი პაპანინი დაინიშნა.

გასულ წელს ყინულმჭრელი „რუსანოვით“ პაპანინი რუდოლფის კუნძულისაკენ გაემართა. „რუსანოვს“ მიჰქონდა მარაგი მთელი ექსპედიციისა და პოლუსის მოზამთრეთათვის. ყინულისმჭრელს მიჰყავდა რუდოლფის კუნძულის მოზამთრენი, რომელთაც უნდა აეგოთ იქ საცხოვრებელი სახლები და მოეწყოთ აეროდრომი. რუსანოვმა მძიმე მგზავრობის შემდეგ უხიფათოდ მიაღწია აღნიშნულ კუნძულს.

უდაბურ კუნძულზე 16 დღეღამის განმავლობაში აიმართა ორი დიდი საცხოვრებელი სახლი, მოეწყო რადიოსადგური, აშენდა გარაჟი ტრაქტორებისათვის, სახელოსნოები, აბანო, საწყობები, რადიოანძები. კუნძულზე 20 მოზამთრე დარჩა.

პაპანინი კი მოსკოვში დაბრუნების შემდეგ შეუდგა მოზამთრეთა შერჩევას ჩრდილოეთ პოლუსისათვის. შერჩევა არ იყო ადვილი. თვითეული მოზამთრე კარგი სწავლული უნდა ყოფილიყო, რომ შესძლებოდა იქ მრავალი სახის მეცნიერული დაკვირვების წარმოება. ამას გარდა თვითეული მათგანი უნდა ყოფილიყო გამბედავი, მედგარი, ამტანი ადამიანი. ისინი ხომ მოდრეიფე ყინულზე უნდა დაეშვან და იქ უნდა იცხოვრონ მთელი წლის განმავლობაში; და აი, გადაწყდა: პაპანინთან ერთად ჩრდილოეთ პოლუსზე დაიზამთრებენ რადისტი კრენკელი, ასტრონომ — მაგნიტოლოგი ფედოროვი და ჰიდროლოგ — ჰიროლოგი შირშოვი.

მზადება სერიოზული, მოფიქრებული და მეტად გულმოდგინე იყო. ცის თვალუწვდენელ სივრცეებს სერავდნენ საბჭოთა მამაცი მფრინავები. ისინი ვარჯიშობდნენ და ვარჯიშის შედეგად უდიდეს ხელოვნებას მიაღწიეს.

რამდენიმე საწარმო მუშაობდა ექსპედი-



მამაცი მეზამთრენი პაპანინი, კრენკელი, ფედოროვი და შირშოვი

ციის მოსამზადებლად. მოზამთრეთათვის მზადდებოდა მაღალხარისხოვანი პროდუქტები, სპეციალური ტანისამოსები და სხვადასხვა სახის ხელსაწყოები.

გაფრენისათვის ყველაფერი უკვე მზად არის.



პოლუსზე წითელი დროშა ფრიალებს

21 მაისი.

ჩვენგან შორს, ძალიან შორს, რუდოლფის ყინულოვან კუნძულზე ახლად დასახლებულთა გულები უჩვეულო მღელვარებას მოუცავს. მფრინავი ვოდოპიანოვი ოთხი მოზამთრით გასაფრენად ემზადება...

ოთხ საათსა და 52 წუთზე რუდოლფის აეროდრომზე თვითმფრინავმა „სსსრ—170"—სტარტი აიღო. მან ამაყად გაშალა ფრთები და ჩრდილოეთ პოლუსისაკენ გაეშურა.

11 საათსა და 35 წუთზე დაეშვა ჩრდილოეთ პოლუსის მოძრავ ყინულზე ვოდოპიანოვის თვითმფრინავი.

პოლუსზე წითელი დროშა აფრიალდა...

იმავე რუდოლფის კუნძულიდან მეორე დღეს სამივე თვითმფრინავი მოსწყდა აეროდრომს. მფრინავები: საბჭოთა კავშირის გმირი მოლოკოვი, ალექსეევი და მაზურუკი უშიშრად გაემართნენ პოლუსისაკენ თავისი უზარმაზარი დატვირთული თვითმფრინავებით და უხიფათოდ დაეშვნენ ჩრდილოეთ პოლუსზე.

22 მაისს ექსპედიციის ხელმძღვანელი ოტო შმიდტი სასიხარულო რადიოგრამას უგზავნის საბჭოთა ხალხებს და მთელ მსოფლიოს:

„პირველი დღეღამე გავატარეთ საბჭოთა პოლარულ სადგურზე, ჩრდილოეთ პოლუსთან. მრდრეიფე ყინულზე, თვითმფრინავის გვერდით, ხუთი კარავი გაჩნდა; მაღლა ამართულია რადიოსადგურის ორი ანძა მათი დამაკავშირებელი ანტენით. დადგმულია მეტეოჯიხური. სამფეხზე დგას თეოდოლიტი მზის სიმაღლის დაკვირვების მოსახდენად, სადგომი ადგილის გამოსარკვევად და მის გადასანაცვლებლად ყინულთა დრეიფისაგან... მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ შევძელით შეგვესრულებინა ამხანაგ სტალინის დავალება და შეგვექმნა პოლუსზე მეცნიერებისა და ავიაციის მტკიცე ბაზა. ჩვენი ფიქრი ჩვენს დიად სამშობლოსთან არის."

შმიდტი.

დასრულდა ბრწყინვალე გადაფრენა.

ჩრდილოეთის ყინულოვანი პოლუსი დაპყრობილია ჩვენი ქვეყნის სახელოვან ადამიანების მიერ.

ქარიშხალისა და ყინულეთის ქვეყანაში დარჩა 4 მამაცი მოზამთრე. ისინი ყოველდღიურად მიაწვდიან ცნობებს მთელ მსოფლიოს პოლუსის ბუნებრივ მოვლენათა შესახებ.

ძლევამოსილია ჩვენი ქვეყანა. მან ერთხელ კიდევ დაამტკიცა ეს ძლევამოსილება.

არ არსებობს დედამიწაზე ისეთი წერტილი, სადაც ვერ შეძლებს დაფრენას საბჭოთა თვითმფრინავი.



გ. კაჭახიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქრის ქურდი

ცუდი არის, როცა უცებ
დაგერღვევა განცდა ტკბილი:
დღეს საშაქრე მაგიდაზე
ცარიელი დამხვდა დილით.
გამიკვირდა, ავბუზღუნდი:
—ვინ გამქურდა, ნეტავ, წუხელ?!
ნუთუ კიდევ არ დამინდობს
და ქურდობით შემაწუხებს?
როგორ მოხდა, ვერ გავიგე,
ავაზაკის მოსვლა, გავლა?
საით გაქრა? ნაქურდალი,
ნეტავი, სად გადამალა?!
არც ფანჯრები გაუღია,
არც კარია გატეხილი...
უჩინარი ხომ არ იყო
ჩემი მტერი ეგზომ ფრთხილი?!
ვის მივმართო, ვის რა ვუთხრა,
ავაზაკის კვალი არ ჩანს!
ანდა წუხელ მაგიდაზე
მე შაქარი როგორ დამრჩა!

* * *

აივანზე მიმოვდივარ,
გადავყურებ ხევს და ხრამებს.
მზე ჩადის და ბინდი ჩნდება
და ნისლივით მოდის ღამე.
გულში ვამბობ:—ჩემი მტერი
გამიხსენებს იქნებ კიდევ:
როგორც წუხელ, ამალამაც
კვლავ მეწვიოს, კვლავ მოფრინდეს.
ძილის დროა, აივანთან
სიო არხევს ნუშის რტოებს,
ფიქრში ვარ და ბოლოს განგებ
მაგიდაზე შაქარს ვტოვებ.
მსურს ამ ხრიკმა დამანახოს
მტრის სახე და შავი გული;
მინდა ჩემს წინ მალე იქნეს
მტერი მტრულად ალაგმული.
ვაქროობ ლამფას, მაგრამ ძილი
არ მომდის და არც სურს თვალებს.
ვწევარ ჩუმად და ოთახში
ღამის ჩრდილებს ებრძვის მთვარე.

* * *

აგერ რაღაც ბნელ კუთხეში
აფაჩუნდა, აწრუწუნდა.
თითქოს ამ დროს სეირნობა
კიდეც უნდა და არც უნდა...
უცებ ვხედავ: მაგიდაზე
შეცოცდა და გაირბინა,
საშაქრეში ცხვირი ჩაჰყო,
შეუცვალა შაქარს ბინა;
იატაკზე გადმოყარა,
ძირს დაეშვა თვითონ რბილად...
აი, თურმე, ჩემი მტერი,
ჩემი ქურდი ვინ ყოფილა!
გულზე ვსკდები, შაქრის ნატეხს
სად მიათრევს! აქ ვერ მხედავს?!
აი, თავო, ციცქნა თაგვი
ჩვენს ბინაში რას გვიბედავს!
რაღა მეთქმის, ვიღას ვუთხრა:
— თაგვი მართმევს ლუკმას ალალს!.
წამოვხტი და ის წრუწუნა
მკვირცხლად სადღაც მიიმალა.
შერცხვეს ქვეყნად ჩემი კატა,
ტანად გონჯი, ერთი ციდა;
რომ ვარგოდეს, მარჯვე სკუპით
ამ ქურდისგან დამიხსნიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი წელი მ. გორკის გარდაცვალებიდან

მაქსიმ გორკი

გენიალური მწერალი მაქსიმ გორკი (ალექსი მაქსიმეს ძე პეშკოვი) დაიბადა 1868 წლის 16 მარტს (ძველი სტილით) ქალაქ ნიჟნი-ნოვგოროდში.

ათი წლის ბავშვი იყო ის, როცა სკოლას თავი დაანებებინეს. მოხუცი ბაბუა საბოლოოდ გაღატაკდა, მამა აღარა ჰყავდა, დედაც ჭლექით გარდაეცვალა.

ობლად დარჩენილი პატარა ალექსი იძულებული იყო ცხოვრების გზა ეძებნა.

და აი შედგა მან ფეხი ცხოვრების ეკლიან გზაზე.

პირველად ფეხსაცმელების მაღაზიაში მიაბარეს ხელზე მოსამსახურედ.

შემდეგ მხატვართან მუშაობდა, მაგრამ აქაც ისე არაადამიანურად ეპყრობოდნენ, რომ ალექსიმ ისევ ქუჩას მიაშურა.

აი ერთ დღეს მან გადაწყვიტა დაეტოვებინა ქალაქი ნიჟნი და სასწავლებლად ყაზანში წასულიყო.

ყაზანმა არ გაამართლა იმედები, სწავლაზე ფიქრიც კი ზედმეტი აღმოჩნდა.

ისევ ხეტიალი ერთი ადგილიდან მეორემდე, ისევ მტვირთავად, მებაღედ მუშაობა, მეეზოვეობა... ამ წლებში მან მოიარა მთელი პოვოლჟიე, დონი, უკრაინა და ბოლოს ბესარაბიაში გადავიდა.

ბესარაბიაში ალექსი მაქსიმეს ძე გორკი ღრმად გაეცნო იქაურ ხალხის ცხოვრებას, მათს ტრადიციებს, მათს მღელვარე მისწრაფებებს თავისუფლებისაკენ.

„მოხუცი იზერგილი“ — ეს მშვენიერი მოთხრობა, რომელიც გორკიმ შემდგომ გამოაქვეყნა, სწორედ ამ ხალხის ცხოვრებას გვიხატავს.

დადიოდა მაქსიმ გორკი ერთი კუთხიდან მეორეში, ეცნობოდა ხალხთა ცხოვრებას, ღრმად სწვდებოდა მათს ტკივილებს და ტანჯვას, სწავლობდა იმ სკოლაში, რომელსაც ცხოვრება ეწოდება.

და აი ამ სიარულში ალექსიმ ოდესას მიაღწია.

ერთ დღეს ოდესის ნავსადგურში მან ვიღაც ახალგაზრდა კაცი დაინახა. ამ ახალგაზრდამ იმ წამსვე მიიქცია მისი ყურადღება.

ეს უცნობი ქართველი აღმოჩნდა. იგი ალექსისთან ერთად წამოვიდა ტფილისისაკენ. ამ ვრცელ გზაზე ეს უსაქმო ფრანტიც ალექსის შესანახი გახდა. ტფილისში რომ ჩამოვიდნენ, ალექსის თანამგზავრი სადღაც გაქრა. ალექსი მაქსიმეს ძე გორკი ამ დროს ოცდაერთი წლისა იყო.

ტფილისში ჩამოსვლისთანავე ალექსი პეშკოვი მთავარ სახელოსნოში მოეწყო კანტორის მოხელედ. მაგრამ იგი ამ თანამდებობაზე დიდხანს არ დარჩენილა. ალექსიმ ამ დროს ტფილისში გაიცნო რუსეთიდან გადმოსახლებული რევოლუციონერი კალუჟნი, რომელიც ყოველმხრივ ეხმარებოდა მას.

ალექსი პეშკოვი მალე საცხოვრებლად გადავიდა კალუჟნის ბინაში. კალუჟნი ხედავდა, რომ ეს ახალგაზრდა ადამიანი ძლიერ ნიჭიერი და შემოქმედების უნარით აღსავსე იყო. ალექსი ხშირად უამბობდა კალუჟნის სხვადასხვა ამბებს. ერთხელ კალუჟნის მან მოუთხრო ლეგენდა ადამიანებზე, რომელთაც მონობას სიკვდილი ამჯობინეს. ამ მოთხრობამ ისეთი მძლავრი შთაბეჭდილება მოახდინა კალუჟნიზე, რომ მან კატეგორიული წინადადება მისცა ალექსის—ეს მოთხრობა დაწერეო.

ასე დაწერა ალექსი პეშკოვმა თავისი პირველი მოთხრობა. ეს მოთხრობა იყო „მაკარ ჩუდრა“, იგი დაიბეჭდა მაშინდელ გაზეთ „კავკაზში“ მაქსიმ გორკის ხელმოწერით.

ამრიგად, მაქსიმ გორკიმ მწერლობა ტფილისში დაიწყო.

„მაკარ ჩუდრა“ — ეს იყო ახალი ფურცელი რუსეთის დიადი ლიტერატურის ისტორიაში. ამ დღეებიდან გორკიმ მჭიდროდ დაუკავშირა თავისი სამწერლო გზა პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას. მე-19 საუკუნის მიწურული იყო. რუსეთს რეაქციის ბნელი ნისლი ეფარა. ლიტერატურაშიც მხოლოდ ქვითინის ხმა ისმოდა. ასეთ დროს ეს სამგლოვიარო ქვითინი დაფარა მაქსიმ გორკის მქუხარე ხმამ. „არსებული წყობილება უნდა განადგურდეს“ — ასეთი იყო იმ ცხოვრების აზრი, რომლის პროპაგანდისტად მოევლინა გორკი მაშინდელ რუსეთს. გორკის გამოსვლისთანავე მის წინააღმდეგ დაირაზმა რეაქციის ბნელი ძალა, მთავრობაც მიხვდა, რომ გორკის მიერ დასმული ცხოვრების საკითხების გადაჭრა მხოლოდ და მხოლოდ ბარიკადებზე შეიძლებოდა. აი სწორედ საბარიკადო ბრძოლების მოახლოების ეპოქაში, პირველი რევოლუციის გარიჟრაჟზე აიმაღლა ხმა მაქსიმ გორკიმ ძველი ქვეყნის წინააღმდეგ.

შემთხვევითი არ ყოფილა ის გარემოება, რომ ბაქოს ორგანიზაციამ ლადო კეცხოველის სიკვდილის გამო გამოცემულ პროკლამაციას ეპიგრაფად წაუმძღვარა გორკის სიტყვები: „ოჰ, შევარდენო, კარგო, მამაცო, მტერთან ბრძოლაში მთლად დაიცალე შენ სისხლისაგან“. გორკის ლიტერატურული და პოლიტიკური ავტორიტეტის ძლიერება ამ ფაქტშიაც ნათლად ჩანს.

გორკის გატაცება, მისი მისწრაფება რევოლუციური ქარიშხალი იყო. მას იტაცებდა ბრძოლა, ბრძოლა ცარიზმის ბნელი რეაქციის წინააღმდეგ. მებრძოლი იდეებით გამსჭვალულია გორკის პირველივე ნაწერები, მისი „ჭივჭავი (1893 წელი), „მოხუცი იზერგილი“ (1895 წელი); „ქარიშხალა“ (1901 წ.) „ადამიანი“ (1903 წელი), მგზნებარე ოპტიმიზმით აღსავსეა ეს ნაწერები. „წინ და მაღლა“ — ასეთი იყო გორკის მოწოდება. მისი „სიმღერა შევარდენზე“ სამარადისოდ დარჩება როგორც უკვდავი ჰიმნი გმირობისა და თავგანწირული ბრძოლისა.

ამავე ხანებში გორკი წერს მთელ რიგ რეალისტურ მოთხრობებს („ყოფილი ხალხი“, „მოწყენილობისათვის“, „კირილკა“ და სხვ): აქ ნათლად დახატულია იმდროინდელი ცხოვრება, რომელიც გზას უხშობდა ადამიანს, დახატულია საზოგადოებრივი ყოფა, სადაც ბატონობს გაუმაძღარი ვაჭარი და კაპიტალისტი, სადაც მშრომელ ადამიანს სული ეხუთება.

1905 წლის რევოლუციის დროს გორკი მწერალი ნავე პოზიციებზე იდგა, იგი მონაწილეობას ღებულობდა მოსკოვის დეკემბრის აჯანყებაში. 1906 წელს გორკი პარტიის დავალებით გაემგზავრა ამერიკაში. ამ მოგზაურობის დროს მან დაწერა რომანი „დედა“. ეს არის უდიდესი ეპოპეა რუსეთის მუშათა კლასის გმირული ბრძოლისა. „დედა“ ბოლშევიკური რომანია. რომანის გმირის პავლე ვლასოვის გადმოცემის დროს გორკის მხედველობაში ჰქონდა სორმოვის მუშათა ორგანიზაციის და 1902 წლის პირველი მაისის დემონსტრაციის ერთერთი ხელმძღვანელის კ. ზამოლოვის ფიგურა. ამ რომანმა მხატვრულად ასახა ადამიანი, რომლის სული და გული გასალკლდევებულია ბოლშევიზმით, ადამიანი, რომელსაც თავის ცხოვრების მიზნად მსოფლიო მუშათა კლასის ბედნიერებისათვის ბრძოლა გაუხდია.

ამ რომანის ერთი გმირი ამბობს. „მე გეუბნები, საჭიროა მთელი ცხოვრება გადავხნათ როგორც მინდორი — დაუზოგავად. ვიცი, დადგება დრო, როცა ყოველი კაცი ისე იქნება მეორესთან, როგორც ვარსკვლავი. დედამიწაზე თავისუფალი ხალხი გაივლის. უნდა მოკვდე, რომ ხალხი აღდგეს. დაე დაიხოცონ ათასობით, რომ მთელ დედამიწაზე მილიონობით აღდგეს ხალხი. ეს არის საჭირო. სიკვდილი ადვილია! ოღონდ ხალხი აღდგეს“. ეს გმირული თავგანწირვა გორკის რომანების რევოლუციური გმირების განუყრელი თვისებაა. ასეთი მკვეთრადა და მკაფიოდ გამოთქმული რევოლუციური იდეები ახასიათებდა გორკის რომანს „დედა“. სწორედ ამიტომ იყო, რომ თვითმპყრობელობამ აკრძალა ეს რომანი და იგი მთლიანად გამოვიდა მხოლოდ 1917 წლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რეაქციის წლებში გორკი პოლიტიკური ემინგრატის მდგომარეობაში გადადის, მიემგზავრება იტალიაში და იქ განაგრძობს ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას.

რევოლუციის შემდეგ გორკიმ გამოაქვეყნა ორი რომანი „არტამონოვების საქმე“ და „კლიმ სამგინის ცხოვრება“. ამ მაღალი ხარისხის მხატვრული რომანების გარდა გორკი აწარმოებდა დაუღალავ პუბლიცისტურ მუშაობას, იგი წინ მიუძღოდა საბჭოთა ლიტერატურას, ასწავლიდა მას; ეს დიდი მწერალი რაზმავდა მსოფლიო ინტელიგენციის კადრებს მუშათა კლასის დროშის ქვეშ.

ამხანაგი ლენინი დიდად აფასებდა გორკის შემოქმედებას. ლენინი წერდა: „გორკი უსათუოდ ყველაზე უფრო დიდი წარმომადგენელია პროლეტა-

რული ხელოვნებისა. მან დიდი საქმე გააკეთა და კიდევ უფრო მეტის გაკეთებას შეძლებს". 1919 წელს ამხანაგი ლენინი წერდა: „ამხანაგი გორკი მტკიცედ დაუკავშირდა თავისი დიადი მხატვრული ნაწარმოებებით რუსეთისა და მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობას".

და მართლაც, გორკი იყო რუსეთის მუშათა კლასის ჭეშმარიტი შვილი.

მაქსიმ გორკი—ეს იყო რუსული რეალიზმის გენიალური წარმომადგენელი, აღზრდილი ლენინ-სტალინის დიადი პარტიის იდეებზე, იგი იყო საუკეთესო მეგობარი მსოფლიო მუშათა კლასისა; განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა გორკი საბჭოთა ახალგაზრდობისადმი. რამდენი მშობლიური ყურადღება, მზრუნველობა და სათუთი გრძნობაა ჩაქსოვილი მოზარდი თაობისადმი მის მრავალრიცხოვან რჩევა-დარიგებებში, მის წერილებში. ახალგაზრდა ადამიანთან ჰქონდა მას მუდმივი პირადი მიმოწერა, თვალყურს ადევნებდა მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდის ზრდასა და განვითარებას. ერთ თავის წერილში იგი ამბობდა: „ჩვენი ახალგაზრდობისათვის მოპოებულია სამშობლო; იგი, ახალგაზრდობა, არის საუკეთესო შვილი უზარმაზარი, უმდიდრესი ქვეყნისა, რომელიც უხვად, თითქმის ყოველდღიურად აწვდის მას სულ ახალახალ განძს, ამან უნდა ასწავლოს ახალგაზრდობას თვითონ აღმოაჩინოს და განავითაროს თავის თავში ტალანტის, ნიჭის განძი".

ბ. ნატროშვილი

ანჩხლი ჩიტუნიები

(კოლიბრი)

ქვეყნად ყველაზე პაწაწკინტელა და ყველაზე ლამაზ ჩიტუნად კოლიბრი ითვლება. მისი სამშობლო შორეული ამერიკის მხარეა. მთელი რიგი მეცნიერები (ბურმაისტერი, ბუფონი, ბრემი, ლუნკევიჩი და სხვ.) მრავალმხრივ აკვირდებოდნენ ამ უჩვეულო ციცქნა ქმნილებას და მათ შესახებ საყურადღებო შენიშვნებს იძლევიან. კოლიბრის საერთო სიგრძე კრაზანას არ აღემატება, რის გამოც ამერიკელები მას ხშირად, ბუზჩიტას ეძახიან. გარეგნული შეხედულებისა და ჯიშის მიხედვით კოლიბრები 70 გვარად და 400 სახედ იყოფიან. იმის მიხედვით, თუ რა დამახასიათებელი ნიშანი გააჩნიათ—ორკაპი, ქოჩორი, არწივისებური ნისკარტი, განდეგილობა და სხვა. იწოდებიან ორკაპა, ქოჩორა, არწივნისკარტა კოლიბრად და ა. შ. ეს საოცარი ლამაზი ჩიტუნიები მრავალრიცხოვან გუნდებად ბინავდებიან იქ, საცა წარმტაც ყვავილებსა და პაწია მწერ-პეპლებს აქვთ სამყოფელი. კოლიბრები დაუღალავად დასდევენ მწერ-პეპლებს, თავიანთი მჭრელი ნისკარტით მსხვერპლს წვრილ-წვრილად გლეჯენ და ამრიგად შეექცევიან. მათი პირის ჩასატკბარუნებელ საჭმელად ხილის და ყვავილის ტკბილი წვენი ითვლება.

კოლიბრი ერთი იმ ფრინველთაგანია, რომელნიც თავიანთ ბუდეს ყველაზე მაღლა, მტკიცედ და ლამაზად აგებენ. ამ მხრივ მათ ბევრი არ ყავთ ღირსეული მეტოქე. ურთიერთშორის ისინი თანხმობით და მეზობლურად ცხოვრობენ, სხვათა მიმართ კი საშინლად თავხედი და მეტიჩრები არიან. ლუნკევიჩი მოგვითხრობს, რომ კოლიბრიმ არაფერი იცის უფროსუმცროსობის შესახებ. მათი სასაცილო კადნიერება იქამდის მიდის, რომ თავმომწონე მიმინოც კი ყავთ დაბრიყვებული, ისინი ძლიერ ქორს არამც თუ ერიდებიან, სადაც მოახელეებენ, თავში და ზურგში თავის პაწია ნისკარტს სთავაზობენ. ქედმაღალ ქორს არ სურს აჰყვეს ციცქნების სისულელეს. დიდხანს დინჯად, სულგრძელად ითმენს შეურაცხყოფას, ბოლოს კი, მოთმინებიდან გამოსული, მკაცრ გაფრთხილებას აძლევს უზრდელს მეზობლებს. თუ ეს არ გაჭრის, გაჯავრებული გაფრინდება და ამით აღწევს თავს უსიამოვნო მდგომარეობას. ანჩხლ ჩიტუნიებს არც ადამიანი აშინებს და აკრთობს. მათი თავხედობა ამ მხრივ ძალზე სასაცილოა.

ვლ. კახიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასართობი

რამდენი სამკუთხედია?



რამდენი სამკუთხედია ამ ექვსკუთხიან ვარსკვლავში? პირველ შეხედვისას 12 პატარა სამკუთხედი ჩანს, ნამდვილად კი სხვებიც არის. მაშ დათვალეთ ეს სამკუთხედები.

—o—

სასტვენი

მასალა: ძაფის კოჭი და წვრილი, პატარა ჯოხი. იარაღი: ჯიბის დანა.

გათალეთ ჯოხი ისე, რომ ის მრგვალი იყოს და კოჭის მილთან შედარებით ოდნავ მსხვილი მოსჭერით ჯოხს პატარა ნაწილი, ერთი სანტიმეტრის სიგრძისა, და ჩასჭედეთ ცალი მხრიდან კოჭის მილში ისე, რომ ჰაერი არ გადიოდეს. მეორე მხრიდან კოჭს მოაჭერით თავი და იქვე ახლოს გაუკეთეთ ნახვრეტი, როგორც ნახატზეა ნაჩვენები. ჯოხს კიდევ მოაჭერით პატარა ნაწილი და გააპეთ ისე, რომ ერთი ნახევარი მეტი იყოს მეორეზე. ის ნაჭერი, რომელიც უფრო დიდია, მილში გაუკეთეთ ისე რომ ჩამონაპობი მხარე ნახვრეტისაკენ იყოს, და სასტვენი მზად იქნება.



მხიარული მოგზაური



მხიარული მოგზაური №-1 ქალაქში იმყოფება და სურს ნახოს ყველა 23 ქალაქი, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან გზებით. (როგორც ნაჩვენებია აქ მოთავსებულ ნახატზე).

მოგზაურმა გადაწყვიტა — თითოეულ ქალაქში ორჯერ არ შევიდეს და ერთსადაიმავე გზაზე ორჯელ არ გაიაროს. მან 5 წუთის განმავლობაში შეძლო აღენიშნა მომავალი მგზავრობის მარშრუტი.

თქვენც სცადეთ. ბავშვებო, ამ ამოცანის გადაწყვეტა და შეგვატყობინეთ: რომელი გზა აირჩია მოგზაურმა?

—o—

თამაში ასანთის ღერებით



ეს თამაში ხატვის მოყვარულთათვისაა, მაგრამ ნუ შეშინდებით, ხატვის უნარი აქ სრულებიდაც არ არის საჭირო. თქვენ ქაღალდი და ფანქარიც კი არ დაგჭირდებათ...

სურათები უნდა გააკეთოთ მხოლოდ ასანთის ღერებით, ეს კი ყველას შეუძლია.

თითოეულ მოთამაშეს ეძლევა 24 ცალი ასანთის ღერი, რის შემდეგაც მოთამაშეებმა განსაზღვრულ დროში (3—5 წუთი) აჭ ასანთის ღერებით უნდა დახატონ რაიმე სურათი ისე, რომ ასანთის 24 ღერი მთლიანად გამოიყენონ.

მოიგებს ის, ვინც ყველაზე კარგ სურათს გააკეთებს.

აქ მოთავსებულია რამდენიმე სურათი თითოეული მათგანი 24 ღერისაგან შედგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღ ე კ ე რ ი

მუსიკა თ. შავერზაშვილისა



პასუხისმგებელი რედაქტორი დ. მჭედლიშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ელ. აგლაძე

ჟურნალი გაფორმებულია მხატვრების ი. ქოქიაშვილის
და ვ. ჯაფოშვილის მიერ

ფასი 50 კაპ.

შოთას ძეგლი

შოთა რუსთაველის ეს ძეგლი გაკეთებულია მოქანდაკე ვ. მერაბიშვილის მიერ. ძეგლი პრემირებულია საკავშირო კონკურსზე. იგი დაიდგმება თბილისში შოთას დაბადებიდან 700 წლის თავის აღსანიშნავად.